



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

20 მარტი 2024



N 148/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გარდაბნისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში შპს „მასდარ ჯორჯია ენერჯის“ 96-100 მგვტ სიმძლავრის მზის ფოტოვოლტური ელექტროსადგურის, 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზისა და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „მასდარ ჯორჯია ენერჯის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია გარდაბნისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში 96-100 მგვტ სიმძლავრის მზის ფოტოვოლტური ელექტროსადგურის, 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზისა და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაგეგმილი პროექტის განხორციელება გათვალისწინებულია გარდაბნისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში, სოფ. ახალი სამგორის მიმდებარედ, 232 ჰა ჯამური ფართობის მქონე ტერიტორიაზე (215 ჰა სახელმწიფო და 17 ჰა კერძო საკუთრება), რომლის ძირითადი ნაწილი (დაახლოებით 163 ჰა) წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გამოიყენება სამოვრებად. დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ წარმოდგენილია დიდი და მცირე ხეები, ასევე, სარწყავი არხები და ელექტროგადამცემი ხაზები. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, დგინდება რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 27 მეტრით, ხოლო დაახლოებით 1,6 კმ-ში მდებარეობს ვაზიანის სამხედრო აეროდრომი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დოკუმენტში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის წინასწარი აღწერა, რომელიც დაზუსტდება მშენებლობის დაწყებამდე, საინჟინრო პროექტის დამუშავების ფაზაზე, როდესაც მომზადდება პროექტის დეტალური დიზაინი. შესაბამისად, დოკუმენტის თანახმად, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული ტექნიკური დეტალები და რიცხვითი მონაცემები ექვემდებარება ცვლილებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის საპროექტო 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის განთავსების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), ხოლო სხვადასხვა თავებში აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზის პარამეტრების შესახებ მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი მონაცემები. დოკუმენტში არ არის ასახული მზის ფოტოვოლტური ელექტროსადგურის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის 110 კვ ძაბვის ქვესადგურამდე მიწოდების ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ ინფორმაცია, ხოლო საპროექტო ტერიტორიაზე მოსაწყობი მზის PV პანელების რაოდენობად განსაზღვრულია 222,587 ერთეული, რაც საჭიროებს დაზუსტებას. სკრინინგის

განცხადებაში არ არის განხილული დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლები, კერძოდ, მასშტაბი, კუმულაციური ზემოქმედება, ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება, ნარჩენების წარმოქმნა, გარემოს დაბინძურება და ხმაური, ასევე, გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საკვლევ არეალში ჩატარებულია მოცულობითი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევითი სამუშაოები, თუმცა, აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის. დოკუმენტში არ არის განხილული დაგეგმილი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების, მოსაწყობი დამხმარე ინფრასტრუქტურის (შესაბამის გენგეგმაზე დატანით), საინჟინრო-საკომუნიკაციო ქსელების, მათ შორის, საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი და შიდა გზების შესახებ ინფორმაცია.

სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ სამშენებლო ტერიტორიის დიდი ფართობისა და დაქანების გამო, ატმოსფერული ნალექები უსისტემოდ ჩაედინება ხელოვნურად შექმნილ ხევებსა და არხებში, რის გამოც საჭირო იქნება აღნიშნული ხევებისა და არხების გრუნტით შევსება და სანიაღვრე სისტემის მოწყობა, საიდანაც სანიაღვრე წყლები საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთ და დასავლეთ საზღვრებთან არსებულ ბუნებრივ ხევებში განიტვირთება, თუმცა, აღნიშნული სანიაღვრე სისტემის შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი სქემა მოცემული არ არის. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში საჭირო მიწის სამუშაოებმა, ტერიტორიის ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლოა გამოიწვიოს ნიადაგისა და გრუნტის ეროზია, რაც საჭიროებს სათანადო შესწავლას, ხოლო ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს სამოვრებად, აღნიშნული ტერიტორიის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი საჭიროებს დამატებით შეფასებასა და დასაბუთებას. ამასთან, პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო ზემოქმედების გათვალისწინებით, გამოვლინდა საქმიანობის განხორციელების ალტერნატიული ადგილების განხილვის, აღნიშნული ალტერნატივების შედარებითი ანალიზის განხორციელებისა და შერჩეული ალტერნატიული ვარიანტის სათანადო დასაბუთების საჭიროება, რაც დამატებითი კვლევის საგანია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბურობისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, საპროექტო არეალში არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეებისა და მასშტაბის განსაზღვრის მიზნით, საჭიროა პროექტის გავლენის ზონაში სრულფასოვანი კვლევების განხორციელება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს საპროექტო არეალში გავრცელებულ ცხოველებზე, ასევე, საპროექტო ტერიტორიაზე იდენტიფიცირებულ კავკასიის ენდემის 2 სახეობაზე (*Tulipa eichleri* და *Jurinea blanda*) მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხებზე. აღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს მოსალოდნელი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილების და საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებები, ასევე, შემუშავდეს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმა, სადაც სამონიტორინგო დაკვირვებები მოცემული იქნება ბიომრავალფეროვნების ცალკეული კომპონენტისთვის. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, დოკუმენტში განხილულია ორნითოფაუნაზე მოსალოდნელი ზემოქმედება, სადაც მითითებულია, რომ ფრინველებსა და ხელფრთიანებს PV პანელების ზედაპირები შეიძლება წყლის ობიექტებში აერიოთ. ამასთან, PV პანელების მიერ არეკლილმა შუქმა შესაძლოა გამოიწვიოს მათი დეზორიენტაცია და დაზიანება ან/და დაღუპვა. შესაბამისად, დაგეგმილი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის ეტაპზე ორნითოფაუნაზე, განსაკუთრებით, ფრინველებსა და ხელფრთიანებზე მოსალოდნელი ზემოქმედება, მათი ე.წ „ტბის ეფექტის“ შედეგად PV პანელებთან და ასევე, საპროექტო და არსებულ ელექტროგადამცემ ხაზებთან შეჯახების რისკების გათვალისწინებით,

საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას, ასევე, შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას. სკრინინგის განცხადებაში ასევე მითითებულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ PV პანელები მზის სხივის შთანთქმის პრინციპით მუშაობს და არა მისი არეკვლისა, პანელებზე დაცემული მზის სხივის შთანთქმა მთლიანად არ ხდება და მისი არეკვლა გარდაუვალია, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ მთავარ სენსიტიურ რეცეპტორზე, ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე, რაც საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე გადის შპს „საქართველოს მელიორაციის“ ბალანსზე რიცხული ქვემო სამგორის მაგისტრალური არხის გ-15 გამანაწილებელი, ხოლო საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით მდებარეობს არსებული კოლექტორი. შპს „საქართველოს მელიორაციის“ კორესპონდენციის თანახმად, პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე (პროექტირება-მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაცია) დაცული უნდა იყოს აღნიშნული კოლექტორისათვის და გ-15 გამანაწილებლისათვის დადგენილი გასხვისების ზოლი. შპს „საქართველოს მელიორაცია“, ყოველგვარი სასყიდლის გარეშე, ნებისმიერ დროს, დაშვებული უნდა იყოს კოლექტორთან და გ-15 გამანაწილებელთან მისასვლელი აუცილებელი გზებით, შეუზღუდავად. ასევე, საპროექტო არეალში სამუშაოები უნდა განხორციელდეს კოლექტორის, გამანაწილებელი არხის და საექსპლუატაციო გზის დაუზიანებლად. დაზიანების შემთხვევაში, სამუშაოების დასრულებისთანავე, მშენებელი კომპანიის მიერ, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა, საპროექტო პარამეტრების დაცვით. ამასთან, დაგეგმილი საქმიანობის პროექტირების ეტაპზე, შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ შეთანხმებული უნდა იქნეს კომუნიკაციების მოწყობის სქემა, რათა არ მოხდეს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის დაზიანება.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს კორესპონდენციის შესაბამისად, მონაცემთა გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო არეალი ნაწილობრივ მოიცავს სამგორის გაჯის გამოვლინების ტერიტორიას და ასევე, კვეთს სასარგებლო წიაღისეულის (გაჯი) მოპოვებაზე გაცემული ლიცენზიების (№0000129 ლიცენზია: მომპოვებელი – შპს „კარგი“; ვადა – 20 წელი და №1001802 ლიცენზია: მომპოვებელი – შპს „დენმარკი“; ვადა – 20 წელი) კონტურებს. წარმოდგენილი ტერიტორიის გამოვლინების კონტურთან თანაკვეთის ფართობზე (261 740 მ²) გაჯის მარაგი შეადგენს 125 635 ტონას. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ფართობების განაშენიანება დასაშვებია, თუ განაშენიანების მსურველი წიაღისეულის მესაკუთრეს კომპენსაციის სახით გადაუხდის სასარგებლო წიაღისეულის იმ სახეობის საფასურს (შესაბამისი წიაღისეულით სარგებლობისათვის „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლის ოდენობით), რომლით სარგებლობასაც იგი ზღუდავს ან აფერხებს დაგეგმილი განაშენიანებით. ამასთანავე, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში – აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია „წითელი ნუსხის“ სახეობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა გარდაბნისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებს საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის მასშტაბის, კომპლექსურობის და მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, პროექტის განხორციელება დაკავშირებული იქნება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, რაც მოითხოვს სათანადო შესწავლას, შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას. ამასთან, ვინაიდან, დოკუმენტში წარმოდგენილია დაგეგმილი პროექტის კონცეფცია, რომლის ტექნიკური დეტალები და რიცხვითი მონაცემები ექვემდებარება ცვლილებას, დასაზუსტებელია დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.1 ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გარდაბნისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში, შპს „მასდარ ჯორჯია ენერჯის“ 96-100 მგვტ მზის ფოტოვოლტური ელექტროსადგურის, 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზისა და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობა და ექსპლუატაცია **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „მასდარ ჯორჯია ენერჯი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მასდარ ჯორჯია ენერჯის“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მასდარ ჯორჯია ენერჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და გარდაბნისა და რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

